საქართველოს სახალხო დამცველი
ბავშვის უფლებების ცენტრი

სპეციალური ანგარიში
სკოლამდელი სააღმზრდელო
დაწესებულებების მონიტორინგის შესახებ

2014

საქართველოს სახალხო დამცველი
ბავშვის უფლებების ცენტრი

სპეციალური ანგარიში
სკოლამდელი სააღმზრდელო
დაწესებულებების მონიტორინგის შესახებ

2014

საქართველოს
სახალხო დამცველი

2015

პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის(იუნისეფი) და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი და პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ ეკუთვნის გაეროს ბავშვთა ფონდს და ევროკავშირს.

საქართველოს
სახალხო დამცველი

unicef
unite for children

ევროკავშირი

შინაარსი

შინაარსი.....3

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში.....4

შესავალი.....4

1. მონიტორინგის მეთოდოლოგია.....5

1.1. მონიტორინგის მიზანი.....5

1.2. მონიტორინგის განხორციელების ეტაპები.....5

1.3.მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის/მონაცემების დამუშავება და რეაგირება.....7

2. მონიტორინგის ძირითადი სამართლებრივი ინსტრუმენტები.....8

3. სამართლებრივი რეგულირება.....9

4.უსაფრთხო და სათანადო ფიზიკური გარემო, სანიტარულ–ჰიგიენური პირობები.....16

5. სკოლამდელი აღზრდის ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელება.....20

6. ძალადობა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში.....22

7. ინდივიდუალური მიდგომის სტანდარტის განხორციელება.....25

8.კვების ორგანიზაციული წესები სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში.....27

7. ადრეული და სკოლამდელი განათლების უფლების იმპლემენტაცია.....29

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სპეციალურ ანგარიშს, რომელიც ასახავს 2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ,,ბავშვის უფლებების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერების'' ფარგლებში სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგის შედეგებს.

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების[1] მონიტორინგი განხორციელდა ისეთი ფუნდამენტური პრინციპების მეშვეობით, როგორიცაა - სარწმუნო და ზუსტი ინფორმაციის მოპოვება, კონფიდენციალობის დაცვა, სანდოობა, ზიანის არ მიყენება, მიუკერძოებლობა, ობიექტურობა, სენსიტიურობა, პროფესიონალიზმი[2]. ამასთან, მონიტორინგის პროცესში აქტიურად იქნა გამოყენებული გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის 2000 წლის 28 ივნისისა და 2008 წლის 23 ივნისის დოკუმენტები - ,,დასკვნითი შენიშვნები ბავშვის უფლებების შესახებ'', რომელთა რეკომენდაციების[3] იმპლემენტაციისათვის, ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმება განხორციელდა სისტემური და სიღრმისეული მონიტორინგის საფუძველზე, არასათანადო მოპყრობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის გათვალისწინებით.

რელევანტურია, რომ სახალხო დამცველის მანდატის[4] ფარგლებში, საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის სისტემური შემოწმება პირველად სწორედ აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა. რენდომული შერჩევის მეთოდის გამოყენებით შემოწმებულ იქნა 61 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება:

- ყაზბეგის მუნიციპალიტეტი – დაბა სტეფანწმინდის, გერგეტის, არშის, სიონის, გორისციხის, სნოს, აჩხოტის საბავშვო ბაგა–ბაღები;
- ზემო სვანეთი – მესტიის №1, №2, სოფლების – ეცერის, მუჟალის, წვირმის, ლატალის საბავშვო ბაგა–ბაღები;
- დაბა ხულოსა და დაბა შუახევის საბავშვო ბაგა–ბაღები;
- დაბა ქედისა და სოფელ ზუნდაგის საბავშვო ბაგა–ბაღები;
- ახმეტის მუნიციპალიტეტი – მატანის №1, სოფლების – ოჟიოს, ქისტაურის №1, შუა ხალაწანის, დუმასტურის, ქორეთისა და წინაუბნის საბავშვო ბაგა–ბაღები;

[1] მოცემული მეთოდოლოგიის მიზნებისათვის ტერმინი ,,სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება'' მოიცავს საბავშვო ბაღებს, საბავშვო ბაგა–ბაღებს.

[2] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარი ნაშრომში ,,სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების მონიტორინგის შესახებ'', პროფესიული ტრენინგების სერია N7, თავი 5, ძირითადი პრინციპები, გვ.87, ჟენევა, ISBN 92-1-154137-9

[3] http://www.refworld.org/type,CONCOBSERVATIONS,CRC,GEO,3ae6afc88,0.html
http://www.refworld.org/type,CONCOBSERVATIONS,CRC,GEO,4885cfab0,0.html

[4] ,,სახალხო დამცველის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-12 და მე-18 მუხლები.

- სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბისხევის №9, №10 და სოფელ მაღაროს საბავშვო ბაგა–ბაღები;
- ქალაქ ამბროლაურისა და სოფელ ნიკორწმინდის საბავშვო ბაგა–ბაღები;
- დაბა ონისა და სოფელ ღარის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები;
- ქალაქ თელავის №2, სოფელ კისიხევისა და ვანთას საბავშვო ბაგა–ბაღები;
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის №2, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის №1 და სოფელ მაღლაკის საბავშვო ბაგა–ბაღები;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის №1 და მცხეთის მუნიციპალიტეტის №6 საბავშვო ბაგა–ბაღები;
- ქ. ბათუმის №12, №17, №20, №22 საბავშვო ბაგა–ბაღები;
- ქ. ქუთაისის №13, №17 და №18 საბავშვო ბაგა–ბაღები;
- ქ. თბილისის №6, №48, №71, №117, №98, №91, №170, №60, №205, №45, №201, №16, №136 საბავშვო ბაგა–ბაღები.

მონიტორინგის ძირითადი ჯგუფის შემადგენლობა:

მაია გედევანიშვილი – სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის უფროსი, ფსიქოლოგი;

მარიამ ბოჭორიშვილი – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ერთობლივი პროექტის ,,ბავშვის უფლებების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერების'' იურისტი;

მარიამ ჯანიაშვილი – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ერთობლივი პროექტის ,,ბავშვის უფლებების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერების'' იურისტი.

1. მონიტორინგის მეთოდოლოგია

1.1.მონიტორინგის მიზანი

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობების დაქვემდებარებაში მყოფი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმება. რაც, თავის მხრივ, ემსახურებოდა ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის პრაქტიკული რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავებას, სკოლამდელი აღზრდის ხელმისაწვდომობისა და ეფექტურობის გაზრდას.

1.2.მონიტორინგის განხორციელების ეტაპები

მონიტორინგის დაგეგმვა

აღნიშნულ ეტაპზე განხორციელდა მონიტორინგის ჯგუფის ძირითადი წევრების

შერჩევა, შესამოწმებელი დაწესებულებების განსაზღვრა, მონიტორინგის სტანდარტისა და ინსტრუმენტების შემუშავება.

რელევანტურია, რომ მონიტორინგის დაგეგმვის პირველ ეტაპზე კლასტერული მეთოდის გამოყენებით შერჩეულ იქნა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობების ტერიტორიული ერთეულები, ხოლო მე-2 ეტაპზე რენდომული შერჩევის მეთოდის მეშვეობით განისაზღვრა შესამოწმებელი საბავშვო ბაგა-ბაღები.

მონიტორინგის ჩატარება

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა შემდეგი უფლებების განხორციელების შემოწმება:

- სკოლამდელი განათლების უფლების ხელმისაწვდომობა და იმპლემენტაციის ხარისხი;
- ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისგან დაცვის უფლების იმპლემენტაციის ხარისხი;
- თანასწორობის, არასათანადო მოპყრობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- ბავშვთა მონაწილეობისა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;
- აღსაზრდელთა მიმართ ინდივიდუალური მიდგომა;
- უსაფრთხო და სათანადო ფიზიკური გარემო;
- სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარულ–ჰიგიენური წესების დაცვა;
- კვების ორგანიზაციული უსაფრთხოების დაცვა.

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგი განხორციელდა შემდეგი ძირითადი წესების დაცვით:

(1) რაოდენობრივი და თვისობრივი სოციოლოგიური მეთოდების ფარგლებში განხორციელდა ინტერვიურება დასამონიტორინგებელი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სააღმზრდელო და ადმინისტრაციულ პერსონალთან. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 350–მა აღმზრდელ–პედაგოგმა და 120–მა ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელმა.

რაოდენობრივი მეთოდი - აღნიშნული სოციოლოგიური მეთოდის ფარგლებში, სპეციალურად შედგენილი კითხვარების საშუალებით, გამოიკითხნენ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების სააღმზრდელო/ადმინისტრაციული პერსონალი. კითხვარები შედგენილ იქნა კვლევის სუბიექტის სტატუსის/ფუნქციური თავისებურების გათვალისწინებით და შეეხებოდა სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის, ინდივიდუალური მიდგომის, აღსაზრდელთა მიმართ დისკრიმინაციისა და ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების, ბავშვის მიმართ ძალადობის/სხეულებრივი სასჯელის გამოყენების და ა.შ. ასპექტებს;

თვისობრივი მეთოდი - სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების აღმზრდელებთან

მოხდა შინაარსობრივი კვლევის – თვისობრივი მეთოდის გამოყენება და განხორციელდება ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები. მოპოვებული მონაცემებიდან თემებისა და ნიმუშების სისტემური გამოკვეთისთვის, მონიტორინგის პროცესში განხორციელებული ნახევრად სტრუქტურირებული და სტრუქტურირებული ინტერვიუებიდან მიღებული შედეგები გაანალიზდა თემატური მეთოდის გამოყენებით.

(2) ბენეფიციარებთან ინტერვიურება - სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელებთან ინტერვიურება განხორციელდა თვისობრივი მეთოდის ფარგლებში, ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით. ბენეფიციარებთან ინტერვიურებისას, გამომდინარე მათი ინდივიდუალური საჭიროებებიდან და ინტერესებიდან, ცალკეულ შემთხვევებში, ხორციელდებოდა მკვლევარის მიერ კითხვის მოდიფიკაცია. ბენეფიციარებთან ინტერვიუირება ჩატარდა მათ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

აღსაზრდელებთან ინტერვიუების პროცესი ემყარებოდა ნებაყოფლობითობის პრინციპს, ბავშვის აზრის გამოხატვის/გათვალისწინების უფლებასა და საუკეთესო ინტერესებს. ინტერვიურების ნებისმიერ ეტაპზე, როდესაც შეიმჩნეოდა ბავშვის გადაღლა, მისთვის საუბრის გაგრძელების ნაკლები ინტერესი, ხდებოდა ინტერვიუს შეწყვეტა.

(3) დაწესებულების ვიზუალური დათვალიერება - აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა საბავშვო ბაგა-ბაღების ჯგუფური უჯრედების, კვების ბლოკისა და სამედიცინო პუნქტის ვიზუალური დათვალიერება აღსაზრდელთა მიმართ უსაფრთხო და სათანადო გარემოს, ადრეული და სკოლამდელი განათლების უფლების, სააღმზრდელო მეთოდების, ჯანმრთელობისა და სანიტარულ–ჰიგიენური პირობების, კვების ორგანიზაციის, ფსიქო-სოციალური განვითარების, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ინტერესების დაცვის დასადგენად.

(4) ბენეფიციარებთან დაკავშირებული სავალდებულო დოკუმენტაციის გაცნობა - მონიტორების მიერ განხორციელდა სკოლამდელი დაწესებულებების შინაგანაწესის, დირექტორისა და სხვა პასუხისმგებელი პირების ბრძანებების/განკარგულებების და ა.შ. სავალდებულო დოკუმენტაციის შემოწმება.

1.3. მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის/მონაცემების დამუშავება და რეაგირება

მონიტორინგის პროცესში მიღებული ინფორმაცია და გამოვლენილი დარღვევები დამუშავდა შემდეგი მეთოდებისა და ღონისძიებების მიხედვით:

- რეკომენდაციები და წინადადებები[5] – საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის დარღვევის ინდივიდუალური/კოლექტიური შემთხვევების იდენტიფიკაციის შემდეგ, დარღვევების პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება, პასუხისმგებელი სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიმართ წარსადგენად. მონიტორინგის ფარგლებში მომზადდა 3 ძირითადი რეკომენდაცია და წინადადება;

[5] ,,სახალხო დამცველის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლი.

- საქმისწარმოება[6] – მონიტორინგის პროცესში გამოვლენილ დარღვევათა შემთხვევებზე ინდივიდუალური საქმისწარმოების განხორციელება, პასუხისმგებელი სახელმწიფო/თვითმმართველობის ორგანოებიდან ინფორმაციის/ახსნა–განმარტებისა და შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვის მიზნით. მონიტორინგის ფარგლებში ინდივიდუალური საქმისწარმოება განხორციელდა 30 შემთხვევაზე, რომელზეც, პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოებისადმი მომზადდა 70–მდე ოფიციალური კორესპონდენცია.

- შესრულების მონიტორინგი – ზემოაღნიშნული ქმედებების ფარგლებში მომზადებული რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულებაზე განხორციელდა შესაბამისი მონიტორინგი. შემოწმების შედეგად წარმოჩნდა, პასუხისმგებელი ორგანოების მიერ პროექტის ფარგლებში მომზადებული რეკომენდაციები და წინადადებები ნაწილობრივ შესრულდა.

- ანგარიში – მონიტორინგის შედეგების საფუძველზე მომზადდა წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი სპეციალური ანგარიში.

2.მონიტორინგის ძირითადი სამართლებრივი ინსტრუმენტები

კანონმდებლობის ანალიზი - სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში მონიტორინგის პროცესში გამოყენებულ იქნა შემდეგი საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი ინსტრუმენტები:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია;
- გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
- გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენცია;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია;
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი;
- სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია;
- ,,პერსონალურ მონაცემთა '' დაცვის შესახებ საქართველოს კანონი;
- ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 11 ნოემბრის ბრძანება ,,სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის ეროვნული მიზნების''

[6] ,,სახალხო დამცველის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლი.

დამტკიცების შესახებ;

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანება №152/ნ–№496–№45/ნ;
- ,,სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის №308/ნ ბრძანება;
- საქართველოს მთავრობის 2014წლის 15 იანვრის დადგენილება №78 – ტექნიკური რეგლამენტი ,,ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ'';
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის ბრძანება №303/ნ ,,განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობებისა და ვადების დამტკიცების შესახებ'';
- საქართველოს პარლამენტის 2000წლის 28 სექტემბრის დადგენილება №520–IIს ,,სკოლამდელ დაწესებულებებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სავალდებულო ჯანმრთელობის ცნობების შესახებ''
- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 აპრილის №762 განკარგულებით დამტკიცებული ,,ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012–2015 წლების სამოქმედო გეგმა'';
- ევროპის საბჭოს კონვენცია ,,ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ'';
- ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ სხვა საერთაშორისო/შიდა სამართლებრივი აქტები.

3.სამართლებრივი რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ ,,სკოლამდელ აღზრდას უზრუნველყოფს სახელმწიფო კანონით დადგენილი წესით''. აღნიშნული კონსტიტუციური რეგულაცია ავალდებულებს სახელმწიფოს, ერთი მხრივ, პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში, უზრუნველყოს ქვეყანაში სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირება, ხელი შეუწყოს აღსაზრდელთათვის უსაფრთხო და სათანადო ფიზიკური გარემოს მიწოდებას, ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უფლების იმპლემენტაციას, ხოლო მეორე მხრივ, ნეგატიური ვალდებულების ფარგლებში, არ მოახდინოს არამართლზომიერი და უკანონო ჩარევა დაცული სფეროს ამ ნაწილში.

სკოლამდელი აღზრდის სფეროში მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებიდან

აღსანიშნავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებების კონვენცია, რომლის მე–2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და მე–4 მუხლის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სასწავლო–სააღმზრდელო ინსტიტუციებში განთავსებულ ბავშვთა უფლებების სრული იმპლემენტაცია, განურჩევლად ეროვნული, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებისა.

გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის (CRC) 2000 წლის 28 ივნისის დოკუმენტის ,,დასკვნითი შენიშვნები საქართველოში ბავშვის უფლებების შესახებ'' 52-ე პუნქტსა და 2008 წლის 23 ივნისის ,,დასკვნითი შენიშვნები''-ის 57-ე პუნქტის «ე» ქვეპუნქტში გაიწერა კომიტეტის რეკომენდაციები, რომელთა თანახმადაც, სახელმწიფომ უნდა გაატაროს საჭირო ღონისძიებები სკოლამდელ სააღმზრდელო ინსტიტუციებში ადრეული ასაკის ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად[7], მათ შორის, სასწავლო–საადმზრდელო დაწესებულებებში ინფრასტრუქტურული პირობებისა და საგანმანათლებლო აქტივობების გაუმჯობესების მიმართულებით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის №445 დადგენილების, „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისათვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცდა „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა“ (დანართი№1). აღნიშნული გეგმის 13.2.5.2 პუნქტის მიხედვით, სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში, სასწავლო პროგრამებში უნდა მოხდეს ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხთა ინტეგრირება და სპეციალური არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამის ხელმისაწვდომობის დანერგვა. ამასთან, 13.6.1.3 პუნქტის შესაბამისად, სკოლამდელი დაწესებულებებისათვის უნდა შემუშავდეს და დაინერგოს სანიტარულ–ჰიგიენური და კვების სავალდებულო სტანდარტები. ყოველივე ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად, სამოქმედო გეგმის 14.1.5.2 პუნქტის მიხედვით, უნდა მოხდეს სკოლამდელი აღზრდის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე.

ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის სტანდარტი

საერთაშორისო სამართლებრივ დონეზე მოქმედი ხელშეკრულებებიდან ბავშვის უფლებას, დაცული იყოს ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან, არეგულირებს სხვადასხვა რელევანტური დოკუმენტები.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების შემდეგ რამდენიმე ათეული საერთაშორისო ხელშეკრულება შეიქმნა, რომელიც განამტკიცებს ბავშვის უფლებას, დაცული იყოს ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან. აღსანიშნავია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი, რომლის მე–7 მუხლი კრძალავს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას.

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის საფუძველზე შექმნილმა კომიტეტმა №13 ზოგად კომენტარში მიუთითა, რომ ფიზიკური ძალადობა არის არა მარტო პაქტთან, არამედ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო

[7] http://www.refworld.org/type,CONCOBSERVATIONS,CRC,GEO,4885cfab0,0.html

სამართალთან შეუსაბამო.[8] ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, თავის პრეცედენტულ სამართალში, ნათლად დააფიქსირა უარყოფითი პოზიცია, არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობისა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.[9]

ბავშვთა მიმართ ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე რელევანტური დოკუმენტი გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაა, რომელიც განსაზღვრავს არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის სფეროში სახელმწიფოების ძირითად ვალდებულებას. ბავშვის უფლებების კონვენციის მე–19 მუხლის მიხედვით, „მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას ღებულობენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით“.

ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შინაარსის განმარტება გაერო–ს ბავშვის უფლებების კომიტეტმა(CRC) მოახდინა. კომიტეტის 2006 წლის №8 ზოგად კომენტარში, გაწერილია სახელმწიფოს ვალდებულება დროული და ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს არასრულწლოვანთა მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის აღმოსაფხვრელად.[10] აღნიშნულ კომენტარში კომიტეტმა განსაზღვრა, რომ ბავშვთა სააღმზრდელო ინსტიტუციებში დისციპლინა მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული ძალადობისაგან. ეს უკანასკნელი, პირველისგან განსხვავებით, იწვევს გარკვეული ინტენსივობის ტკივილს, დისკომფორტსა და დამცირებას.

2014 წელს საქართველო შეუერთდა ევროპის საბჭოს კონვენციას სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, რომლის მე–4 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, აღნიშნულ სფეროში მიიღოს აუცილებელი საკანონმდებლო და სხვა სახის ზომები.

შიდა სამართლებრივ დონეზე, სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში განთავსებულ აღსაზრდელთა ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უფლება და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების პროცედურები განმტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანებით №152/ნ-№496-№45/ნ ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ'', რომლის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, მე-5 მუხლის “ა”, “ბ” და “გ” პუნქტებისა და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება ვალდებულია, საბავშვო ბაღში მოახდინოს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენა, მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურის განხორციელება. შესაბამისად, სახელმწიფო/ადგილობრივი

[8] General Comment No. 13 (Right to Education), *Committee on Economic, Social and Cultural Rights,* 1999, Para. 41.
[9] *Tyrer v. the United Kingdom*, ECHR, Application no. 5856/72, 1978; *A v. the United Kingdom*, ECHR, Application no. 100/1997/884/1096, 1998; *Nencheva and others v. Bulgaria*, ECHR, Application no. 48609/06, 2013.
[10] General Comment N 8, *the Right of the Child to Protection from Corporal Punishment and other Cruel or Degrading Forms of Punishment*, Committee on the Rights of the Child, 2006, Para. 2.

თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ აღმზრდელ-პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის, მართვის, რეფერირებისა და რთული ქცევის მქონე ბავშვთა აღზრდის საკითხებში.

ინდივიდუალური მიდგომისა და სკოლამდელი განათლების სტანდარტი

აღნიშნული სტანდარტის ერთ-ერთ საერთაშორისო სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის 27–მუხლის მე–2 პუნქტი, რომელიც მშობლებს ან ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელ პირებს ავალდებულებს ბავშვის განვითარებისთვის აუცილებელ პირობებს თავიანთი ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში, ხოლო ამავე მუხლის მესამე პუნქტი ხაზს უსვამს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაეხმარონ ასეთი საჭიროების მქონე პირებს აღნიშნული უფლების ჯეროვნად განხორციელებაში. ასევე, რელევანტურია 29 მუხლში განმარტებული განათლების პრინციპებისა და შესაბამისი გარემოს შექმნის შესახებ დაწესებული სტანდარტები.

ევროპის სოციალური ქარტიის მე–17 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის ანალიზიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლება აღიზარდონ ისეთ გარემოში, რომელიც ხელს შეუწყობს მათი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების სრულ განვითარებას, მხარეები იღებენ ვალდებულებას, მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა ბავშვების განათლებისა და მომზადებისთვის, ამ მიზნისათვის საჭირო ინსტრუმენტების შექმნისა და შენარჩუნების გზით.

აღსაზრდელთა მიმართ ინდივიდუალური მიდგომისა და სკოლამდელი განათლების სტანდარტი მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციართათვის სპეციალურ საჭიროებებზე ორიენტირებული სააღმზრდელო-საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. აღნიშნული რეგულაციის საერთაშორისო სამართლებრივი საფუძველი ჩადებულია გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის თანახმადაც, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის უფლებას, სარგებლობდეს განსაკუთრებული მზრუნველობით და სათანადო რესურსების არსებობის პირობებში.

აღნიშნულ სფეროში მეტად რელევანტურია გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ, რომლის მე–7 მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიერ ადამიანის უფლებებითა და ყველა ფუნდამენტური თავისუფლებით სხვა ბავშვების თანასწორად სარგებლობის უფლებას. ამასთან, კონვენციის მე–8 მუხლის მე–2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტი აწესებს, რომ სახელმწიფომ განათლების ყველა დონეზე, მათ შორის მცირეწლოვან ბავშვებში, უნდა განახორციელოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისთვის ანგარიშის გაწევის ხელშეწყობა. ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულების მე–9 მუხლი ადგენს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიმართონ ყველა შესაბამის ზომას, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სხვების თანასწორად უზრუნველყონ ფიზიკური გარემოსა და მომსახურების სათანადო ხელმისაწვდომობა.

სკოლამდელი აღზრდის სფეროში, აღნიშნული მიმართულებით მოქმედი შიდა სამართლებრივი მექანიზმებიდან, აღსანიშნავია საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 11 ნოემბრის ,,სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ'' №958 ბრძანება, რომელიც განამტკიცებს აღსაზრდელთა ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის, ინდივიდუალური მიდგომების განვითარების უფლებებს.

უსაფრთხო და სათანადო ფიზიკურ – ინფრასტრუქტურული გარემოს სტანდარტი

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ბავშვის ზრუნვაზე ან დაცვაზე პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები ან ორგანოები უნდა შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ ნორმებს, კერძოდ, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, მათი პერსონალის რიცხვისა და ვარგისიანობის, აგრეთვე კომპეტენტური ზედამხედველობის თვალსაზრისით.

სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში უსაფრთხო და სათანადო ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის სტანდარტი განმტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №308/ნ ბრძანებით ,,სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ''. აღნიშნული ბრძანება ამტკიცებს მოთხოვნებს ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების (საბავშვო ბაგები, საბავშვო ბაღები, საბავშვო ბაგა-ბაღები) ფუნქციონირების, მოწყობისა და ექსპლუატაციისადმი. უსაფრთხო და სათანადო ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის სტანდარტი გულისხმობს, რომ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები უნდა აკმაყოფილებდნენ შესაბამის მოთხოვნებს დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობის, ჯგუფური ოთახების, კვების ბლოკის აღჭურვილობის, პერსონალის პირადი ჰიგიენის და ა.შ. სფეროებში[11].

სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების დაცვის სტანდარტი

სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების დაცვის სტანდარტი მოიცავს ბენეფიციართათვის უსაფრთხო ჰიგიენური პირობების მიწოდებასა და დაწესებულებაში ჯანმრთელობის უფლების დაცვისათვის საჭირო გარემოს შექმნას.

საერთაშორისოსამართლებრივიდონეზებავშვთაჯანდაცვისუფლებისხელმისაწვდომობას არეგულირებს გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის 24–ე მუხლი, რომლის პირველი პუნქტის თანახმადაც, კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე სრულყოფილი მომსახურებით.

ასევე, ბავშვთა ჯანდაცვის სფეროში მეტად რელევანტურია ,,ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ'' საერთაშორისო პაქტის მე–12 მუხლის მე–3 პუნქტის ,,ბ'' და ,,დ'' ქვეპუნქტები, რომელთა ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ პაქტის მონაწილე სახელმწიფო აღიარებს თითოეული ადამიანის უფლებას ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე. აღნიშნულისათვის, კი თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს ეკისრება ვალდებულება, ჯანდაცვის სფეროში გარემოს ჰიგიენის ყველა ასპექტის დასაცავად გააჟაროს დროული და ეფექტიანი ღონისძიებები.

[11] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანების №308/ნ ,,სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარული სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ'' მე-4, მ-5, მე-7, მე-9, მე-10 მუხლები.

სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების დაცვის სტანდარტის შიდა სამართლებრივ დონეზე განხორციელებას აკონკრეტებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანების N308/ნ ,,სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ'' ბრძანება, რომლის მე-5 მუხლის მე-20 პუნქტის თანახმად, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების შენობაში აუცილებლად უნდა იყოს საექიმო კაბინეტი და სამრეცხაო. ასევე, ავადმყოფი ბავშვების იზოლაციისათვის შენობის პირველ სართულზე უნდა განთავსდეს იზოლატორი ცალკე გასასვლელით. ბრძანების მე–20 მუხლის მე–2 პუნქტის მიხედვით, სამედიცინო პერსონალმა უნდა უზრუნველყოს ბავშვთა კვების, ფიზიკური აღზრდის, გაკაჟების, ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების, სასწავლო-აღმზრდელობითი რეჟიმის დაცვის ყოველდღიური კონტროლი.

ამასთან, ზემოაღნიშნული ბრძანების მე-8 პუნქტის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების ანალიზიდან გამომდინარე, ბავშვთა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაღალხარისხიანი სასმელი წყლით. შენობები უნდა იყოს აღჭურვილი წყალგაყვანილობის სისტემით და მოხდეს მათი უზრუნველყოფა ცხელი წყლითა და კანალიზაციით. თავის მხრივ, სამზარეულოს, სამრეცხაოს და I ჯგუფის ადრეული ასაკის ბავშვების სათამაშო ოთახებს, ბუფეტსა და საპირფარეშოებს გამანაწილებელი ონკანით უნდა მიეწოდებოდეს ცხელი წყალი.

კვების ორგანიზაციული წესების დაცვის სტანდარტი

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის 24–ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ყველა აუცილებელი ღონისძიება ბავშვების სათანადო საკვებითა და სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის. ამასთან, რელევანტურია, რომ ბავშვთა სათანადო კვების უფლების შესახებ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა თავის ზოგად კომენტარში №12 (1999წ.) განმარტება გააკეთა, რომლის თანახმადაც საკვების რეალიზაციის უფლებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ყველა ბავშვს ნებისმიერ დროს აქვს სათანადო საკვებზე ხელმისაწვდომობა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №78 დადგენილების ,,ტექნიკური რეგლამენტი- ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ'' მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, რომ ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვების ორგანიზებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითადი რეკომენდაციები უსაფრთხო კვებასთან დაკავშირებით. ხოლო მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ათდღიანი ან ორკვირიანი პერსპექტიული მენიუ და სპეციალურად შემუშავებული კერძების კარტოთეკა. ასევე, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ბავშვთა კვების ხარისხზე აუცილებელია, დაწესდეს ყოველდღიური კონტროლი. გარდა ამისა, საბავშვო ბაგა–ბაღის წარმომადგენლების მიერ აღსაზრდელთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უნდა გაეწიოთ რეკომენდაცია ბავშვთა კვების ორგანიზების შესახებ და მიეწოდოთ ინფორმაცია ბავშვის კვების მენიუს შესახებ.

სათანადო დოკუმენტაციის სტანდარტი – რაც შეეხება სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში სავალდებულო დოკუმენტაციისადმი წაყენებულ სამართლებრივ მოთხოვნებს, რელევანტურია, რომ ბავშვთა სკოლამდელ ინსტიტუციებში აღსაზრდელის მიღებისას, ექიმი, დოკუმენტაციის მიღებასთან ერთად, აგროვებს დამატებით ცნობებს მშობლებისაგან ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მისი თავისებურებებისა და ქცევების შესახებ[12]. ყველა ცნობა, რომელსაც იღებენ საბავშვო დაწესებულებაში მიღების დროს, შედის ბავშვის განვითარების ისტორიასა და სამედიცინო ბარათში – ფორმა 026[13]. ეს ბარათები უნდა აღირიცხოს ჯგუფის აღმზრდელებთან. ასევე, საბავშვო ბაღების ცენტრის დირექტორი/გამგე და ადმინისტრაცია უნდა ფლობდნენ საბავშვო სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამას, აღსაზრდელთა ჯანმრთელობის ცნობებს, სასწავლო პერსონალის შეფასების დოკუმენტს, საბავშვო ბაღის ცენტრსა და აღსაზრდელის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის დადებულ ხელშეკრულებას ბავშვის დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ.

პასუხისმგებელი ორგანოები – ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის "ი" ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარ, ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა კატეგორიას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. შესაბამისად, უსაფრთხო და სათანადოდ ხელმისაწვდომ სკოლამდელ აღზრდაზე პასუხიმგებელ სუბიექტს წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

თავის მხრივ, ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში სასწავლო მეთოდოლოგიური მასალის შემუშავება და პრაქტიკაში იმპლემენტაციის ხელშეწყობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფუნქციური დანიშნულებაა და რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილების ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ'' მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის ,,დ'' და ,,ვ'' ქვეპუნქტების საფუძველზე.

რაც შეეხება სკოლამდელი აღზრდის სფეროში სანიტარულ–ჰიგიენური და კვების ორგანიზაციული წესების ნორმატიულ დონეზე დამდგენ სტანდარტებს, აღნიშნულის გაწერის უფლებამოსილება გააჩნია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის №249 დადგენილების ,,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ'' მე–3 მუხლის ,,ვ'' პუნქტის თანახმად.

[12] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001წლის 16 აგვისტოს ბრძანების N308/ნ ,,სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარული სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ'' მე-14 მუხლის პირველი პუნქტი.

[13] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001წლის 16 აგვისტოს ბრძანების N308/ნ ,,სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარული სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ'' მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი.

4.უსაფრთხო და სათანადო ფიზიკური გარემო, სანიტარულ–ჰიგიენური პირობები

სტრუქტურული და დაგეგმილი ფიზიკური გარემო ბავშვის ქცევაზე ზეგავლენის განმაპირობებელი ფაქტორია[14] და აღსაზრდელის გარემოში ორიენტაციის თავისებურებების მიმართულებებსა და ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს. ამასთან, უსაფრთხო და სათანადო ფიზიკური გარემოს სტანდარტის დანერგვა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ–ერთი კრიტერიუმია.

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ვიზუალური დათვალიერებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმების ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ დამონიტორინგებული საბავშვო ბაგა-ბაღების მნიშვნელოვან ნაწილში (იხ. ცხრილი №1) ბენეფიციარებისათვის შექმნილია არაკეთილსაიმედო ფიზიკური და ინფრასტრუქტურული გარემო. ასევე, მონიტორინგის შედეგების მიხედვით, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ფიზიკური გარემო ძირითადად არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საჭიროებების მქონე აღსაზრდელებისათვის. შემოწმებული 61 საბავშვო ბაგა–ბაღიდან ნაწილობრივ ადაპტირებული ფიზიკური გარემო ფუნქციონირებს მხოლოდ ქ. თბილისის №91 საბავშვო ბაგა–ბაღში.

ცხრილი №1 - ფიზიკური გარემოსა და სათანადო ინფრასტრუქტურული მდგომარეობის პროცენტული მაჩვენებელი



- ფუნქციონირებს უსაფრთხო და სათანადო ფიზიკურ–ინფრასტრუქტურული გარემოს პირობებში
- ფუნქციონირებს ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელი ფიზიკურ–ინფრასტრუქტურული გარემოს პირობებში
- საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს
- საჭიროებს გადაუდებელ კაპიტალურ სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოებს

გარდა ზემოაღნიშნული სტატისტიკური მონაცემებისა, რელევანტურია, რომ დამონიტორინგებული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების 40%–ში

[14] გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), ,,საქართველოში ადრეულ ასაკში სწავლის სისტემის ღირებულების გაანგარიშების და დაფინანსების ყოვლისმომცველი სტრატეგია'', 2013 წლის აპრილი, ელ. ვერსია- http://unicef.ge/uploads/Early_Learning_System_GEO_edited.pdf

რამდენიმე ათეული წელია (10დან–30 წლამდე პერიოდულობით) არ განახლებულა ბენეფიციარებისთვის განკუთვნილი ძირითადი სააღმზრდელო ინვენტარი და სანიტარულ–ჰიგიენური ნივთები (აღნიშნული მაჩვენებელი ძირითადად დაფიქსირდა მაღალმთიან რეგიონებში განთავსებულ დაწესებულებებში). საბავშვო ბაგა–ბაღების 60%–ში კი ძირითადი ინვენტარის განახლების საშუალო პერიოდული მაჩვენებელია 5 წელი, ხოლო დამატებითი ინვენტარის – 1 წელი.

რაც შეეხება სანიტარულ–ჰიგიენური პირობების დაცვის საკითხს სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში, უნდა აღინიშნოს, რომ დამონიტორინგებული საბავშვო ბაგა–ბაღების 40%–ში არ ფუნქციონირებდა სამედიცინო პუნქტი და არ დაფიქსირდა ექთანი, ასევე პრობლემურია, რომ დაწესებულებების 50%–ს არ მიეწოდებოდა ბენეფიციართათვის განკუთვნილი პირველად სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები.

მონიტორინგის პროცესში უსაფრთხო და სათანადო ფიზიკურ–ინფრასტრუქტურული გარემოს ხელმისაწვდომობის მხრივ, დარღვევები დაფიქსირდა შემდეგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში:

მესტიის მუნიციპალიტეტი – საბავშვო ბაგა–ბაღების ფიზიკურ–ინფრასტრუქტურული გარემოს რეაბილიტაციის საჭიროება დაფიქსირდა შემდეგ თემებსა და სოფლებში: ეცერი, ლატალი, მუჟალი, იფარი და ყარსგურიში. მონიტორინგის პროცესში აღნიშნული სკოლამდელი დაწესებულებების კედლებზე შეინიშნებოდა ობისა და სოკოს წამონაზარდები, დაწყებული იყო ჯგუფური ოთახების კედლების ჩამოშლის პროცესი, არ ფუნქციონირებდა ცენტრალური გათბობისა და ვენტილაციის სისტემები. საბავშვო ბაგა–ბაღებში ჯგუფების გათბობა ხდებოდა შეშის ღუმელების მეშვეობით, რომლებიც არ იკეტებოდა ჰერმეტულად და არ იყო შემოსაზღვრული აღსაზრდელებისაგან. 2014 წლის 20 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით (№10/10900) მიმართა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მოითხოვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება სოფელ მუჟალის, სოფელ ეცერის, ლატალის თემისა და დაბა–მესტიის №2 საბავშვო ბაგა–ბაღებში უსაფრთხო და სათანადო ფიზიკური გარემოს შესაქმნელად, სანიტარულ–ჰიგიენური პირობებისა და კვების ორგანიზაციული წესების განსახორციელებლად. აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხორციელდა დაწესებულებების ინფრასტრუქტურული გარემოს ნაწილობრივი რეაბილიტაცია, ასევე, 2015–2016 წლებისათვის დაიგეგმა მოქმედი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების რეაბილიტაცია და დამატებითი საბავშვო ბაღების მშენებლობა შემდეგ თემებსა და სოფლებში – ცხუმარი, იდლიანი, ხაიში, მულახი, მაზერი, ნაკრა, ჭუბერი, ფარი, ყარსგურიში, ლენჯერი, ლატალი (მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კორესპონდენციები №19693/1, 08/12/2014, №12366/1, 25/2014).

ხულოს მუნიციპალიტეტი – არასათანადო ინფრასტრუქტურული გარემო დაფიქსირდა დაბა ხულოს, სოფელ დიოკნისისა და ხიხაძირის საბავშვო ბაგა–ბაღებში. როგორც საქმისწარმოების[15] მასალებიდან გამოიკვეთა, სოფელ დიოკნისის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებას ესაჭიროება კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, თუმცა 2014 წლის მდგომარეობით, დაწესებულების რეაბილიტაცია არ განხორციელებულა. საბავშვო ბაგა–ბაღის შენობის ფართობი შეადგენს 136კვ.მ–ს, რომელიც განკუთვნილი იყო ერთი ჯგუფისათვის, თუმცა მოთხოვნიდან გამომდინარე, ფუნქციონირებს 2

[15] საქმე №16943/1, 15/10/2014.

სააღმზრდელო ჯგუფი. რაც შეეხება ხიხაძირის საბავშვო ბაგა–ბაღს, შენობის მე–2 სართულზე იატაკი ამორტიზირებულია. ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გამოთხოვილი ოფიციალური ინფორმაციის[16] თანახმად, სოფელ დიოკნისისა და ხიხაძირის საბავშვო ბაგა–ბაღებში სარეაბილიტაციო სამშენებლო სამუშაოების განხორციელება 2015 წლისთვის იგეგმება.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი – ყაზბეგის მუნიციპალიტეტში განთავსებული 7 საბავშვო ბაგა–ბაღიდან არასათანადო ინფრასტრუქტურული მდგომარეობა დაფიქსირდა სოფელ სიონის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში[17]. აღნიშნული საბავშვო ბაგა–ბაღი ნაქირავები, კერძო საკუთრებაში არსებული სახლის მეორე სართულზეა განთავსებული. შენობა არ შეესაბამება სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებისათვის დადგენილ სტანდარტებს და ვერ უზრუნველყოფს აღსაზრდელთა საჭიროებების დაკმაყოფილებას – ჯგუფური უჯრედები არასრულია, სასადილო, საძინებელი და სასწავლო–სააღმზრდელო ოთახები არ არის საჭიროებისამებრ დაყოფილი, საბავშვო ბაღში არ ფუნქციონირებს სააბაზანო და საპირფარეშო, ბენეფიციარებს სასმელი წყალი მიეწოდებათ აივანზე დამონტაჟებული ნიჟარით, 1980–იანი წლების შემდეგ საბავშვო ბაღში არ განახლებულა დგამ–ავეჯი, სასწავლო–შემეცნებითი ინვენტარი, საწოლების რაოდენობა (10 საწოლი) ორჯერ ნაკლებია აღსაზრდელთა რაოდენობასთან შედარებით[18].

ახმეტის მუნიციპალიტეტი – სოფელ ქისტურის №1 და სოფელ ოჟიოს საბავშვო ბაგა–ბაღებში აღსაზრდელთათვის შეზღუდულია უსაფრთხო ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობა. საქმეზე[19] დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შენობებსა და კვების ბლოკს არ გააჩნიათ ცენტრალიზებული გათბობა. ბავშვთა ძირითადი განთავსების ოთახებში ფუნქციონირებს შეშის ღუმელები, რომლებიც არ იხურება ჰერმეტულად. თითოეულ საბავშვო ბაგა–ბაღში აღსაზრდელებისათვის განკუთვნილია 12 საწოლი, რაც არ შეესაბამება ბენეფიციართა რაოდენობას. სასწავლო, სათამაშო და სასადილო ოთახი განთავსებულია ერთ ოთახში. სოფელ ოჟიოს საბავშვო ბაღის სასწავლო–სააღმზრდელო ინვენტარი არ განახლებულა 1983 წლიდან. პროექტის ფარგლებში აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მომზადდა სახალხო დამცველის რეკომენდაცია[20], რომელიც წარედგინა ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. რეკომენდაციის საფუძველზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სოფელ ქისტაურის №1 და სოფელ ოჟიოს საბავშვო ბაგა–ბაღების ინფრასტრუქტურული და სანიტარულ–ჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად დამატებითი ფინანსური თანხების გამოყოფის შესახებ[21].

ქედას მუნიციპალიტეტი – სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებებიდან ინფრასტრუქტურული მდგომარეობის მხრივ გაუმჯობესება ესაჭიროება სოფელ ზუნდაგის საბავშვო ბაგა–ბაღს, სადაც 2–დან 4 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ერთ ოთახშია განთავსებული სასადილო, საძინებელი, სასწავლო და სათამაშო კუთხეები. 4–დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის კი არასაკმარისია საწოლები და სასწავლო–სააღმზრდელო მასალა. სანიტარულ–ჰიგიენური თვალსაზრისით, პრობლემურია, რომ სააღმზრდელო

[16] კორესპონდენცია №18646/1, 18/11/2014.
[17] საქმე №17319/1, 19/10/2014.
[18] კორესპონდენცია №10–4/13280, 10/11/2014, №10–4/267, 15/01/2015.
[19] საქმე №10593/1, 22/07/2014; №10595/1, 20/08/2014; №10596/1, 20/08/2014.
[20] კორესპონდენცია №10/9596, 22/07/2014.
[21] კორესპონდენცია №14560/1, 12/08/2014.

ჯგუფებს არ აქვთ ერთმანეთისაგან დიფერენცირებული სველი წერტილები. ასევე, სკოლამდელი დაწესებულების პერსონალისთვის არ ფუნქციონირებს დამოუკიდებელი სველი წერტილები.

სიღნაღის მუნიციპალიტეტი – სოფელ ბოდბისხევის №9 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება ფუნქციონირებს ავარიულ და აღსაზრდელებისათვის საფრთხის შემცველ პირობებში[22]. დაწესებულების 3–4 წლიანი ასაკის სააღმზრდელო ჯგუფის ოთახს ჩამოენგრა კედელი, ავარიულ მდგომარეობაშია შენობის მთლიანი პერიმეტრის იატაკი. საბავშვო ბაღში არ არის მინიმალური პირობები სანიტარულ–ჰიგიენური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გამოთხოვილი ინფორმაციის[23] თანახმად, 2015 წლიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის ფარგლებში იგეგმება საბავშვო ბაღის ახალი კორპუსის მშენებლობა. აღნიშნული სამუშაოების დასრულებამდე კი, ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, დაწესებულება განთავსდა კერძო საკუთრებაში არსებულ შენობაში.

ქ. თელავის მუნიციპალიტეტი – მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებებიდან სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების საჭიროება არის ქ. თელავის №2 საბავშვო ბაგა–ბაღში. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების კორპუსი არის საფრთხის შემცველი ბავშვებისათვის[24]. დაწესებულებას ქ. თელავის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანებიდან არ მიეწოდებათ ბენეფიციართა საჭიროებებისა და რაოდენობის შესაბამისი სანიტარულ–ჰიგიენური ნივთები. ექსპლუატაციის დღიდან ბაღში არ განახლებულა მერხები, მაგიდები და სხვა ძირითადი ინვენტარი. ქ. თელავის მერიიდან გამოთხოვილი ინფორმაციის[25] თანახმად, დაწესებულების რეაბილიტაციისათვის შედგენილ იქნა საპროექტო წინადადება და 2015 წლისათვის იგეგმება საბავშვო ბაგა–ბაღის ფიზიკურ–ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო სარემონტო სამუშაოების განხორციელება.

ქ. თბილისის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები – ფიზიკური და ინფრასტრუქტურული გარემოს დაცვის სფეროში არასათანადო მდგომარეობა გამოვლინდა №71, 117, 98, 60, 201, 205 საბავშვო ბაგა–ბაღებში. არსებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობის პრობლემები ძირითადად განპირობებულია ფიზიკური გარემოსა და ბავშვთა სააღმზრდელო ჯგუფების პროპორციული შეუსაბამობით. ქ. თბილისის დამონიტორინგებული საბავშვო ბაგა–ბაღების 80%–ში ადრეული ასაკის მეორე ჯგუფისა და სკოლამდელი ასაკის პირველი და მე–2 ჯგუფებისათვის არ ფუნქციონირებს საძინებელი ოთახები, კვების ბლოკი, ბავშვების ძირითადი განთავსების ოთახები არ არის ერთმანეთისგან დიფერენცირებული.

რეკომენდაციები მარნეულის, მესტიის, ხულოს, ონის, ყაზბეგის ახმეტის მუნიციპალიტეტის თელავის, სიღნაღის, ხულოს, შუახევის ქედას, თერჯოლის, წყალტუბოს ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს:

- ***განხორციელდეს დროული და ეფექტიანი ღონისძიებები მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მოქმედი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების***

[22] საქმე №12914/1, 15/07/2014.
[23] კორესპონდენცია №1514/1, 26/08/2014; №1869/1, 19/11/2014.
[24] საქმე №18341/1, 18/11/2014.
[25] კორესპონდენცია №19796/1, 15/12/2014.

ფიზიკურ-ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესების, საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარის მიწოდებისა და ბენეფიციართა ინდივიდუალური საჭიროებების იმპლემენტაციის მიზნით;

- *განხორციელდეს დროული და ეფექტიანი ღონისძიებები სკოლამდელ-სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვთათვის უსაფრთხო და შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მიწოდების მიზნით;*

- *სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ფიზიკური გარემო ადაპტირებულ იქნას შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე აღსაზრდელთათვის.*

5. სკოლამდელი აღზრდის ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელება

პროექტის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგისა და მიღებული შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში გეოგრაფიული და ფიზიკურ–ინფრასტრუქტურული ხელმისაწვდომობის უფლების იმპლემენტაციის ხარვეზები. საბავშვო ბაგა–ბაღების ვიზუალური დათვალიერების, დოკუმენტაციის შემოწმებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებიდან გამოთხოვილი ოფიციალური მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მუნიციპალურ დონზე სკოლამდელი აღზრდის ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 70%–ს. თუმცა, აღსანიშნავია ცალკეული ტერიტორიული ერთეულები, სადაც სკოლამდელი აღზრდის ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით დაბალია, მათ შორისაა ქ. თბილისის, ქ. მარნეულის, ქ. ქუთაისის, ონის, მესტიის, ხულოს, შუახევისა და ქედას მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღები:

ქ. თბილისი –დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების[26] თანახმად, 2014 წლის მონაცემებით, ქ. თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტოში ელექტრონული რეგისტრაციის მოთხოვნით შევიდა 75 000 განაცხადი. მათგან განხორციელდა 52 000 აღსაზრდელის რეგისტრაცია, მათ შორის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების სათათბირო ორგანოების მიერ დამატებით დარეგისტრირდა 7000 ბენეფიციარი. შედეგად, 2014 წლის განმავლობაში, ქ. თბილისში 23 000 ბავშვი სკოლამდელი სააღმზრდელო მომსახურების მიღმა დარჩა. ასევე, ა(ა)იპ. ქ. თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტოდან გამოთხოვილი მონაცემების[27] მიხედვით, სკოლამდელი აღზრდის მომსახურების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, 2015 წლისათვის იგეგმება ქ. თბილისის სხვადასხვა რაიონის ადმინისტრაციულ საზღვრებში 8 ახალი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მშენებლობა და უკვე არსებული ბაგა–ბაღებისათვის ადრეული, საშუალო და უფროსი ასაკობრივი ჯგუფების დამატება.

მარნეულის მუნიციპალიტეტი – დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, აღნიშნულ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია ადრეული და სკოლამდელი ასაკის 9 000 ბავშვი, მიუხედავად იმისა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ

[26] კორესპონდენცია №15660/1, 12/09/2014.
[27] კორესპონდენცია №20205/1, 06/01/2015.

ერთეულებში მდებარე საბავშვო ბაგა–ბაღებში გათვალისწინებულია 890 აღსაზრდელის მიღება. ამასთან, 2014 წლის სექტემბერ–დეკემბრის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში აღსაზრდელთა ფაქტობრივი ჩარიცხვის მაჩვენებელი 1 500–ს შეადგენს[28]. მარნეულის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის[29] თანახმად, სკოლამდელი აღზრდის ხელმისაწვდომობის უფლება ასევე შეზღუდული აქვთ სოფლების – ალგეთში და საბირქენდში მცხოვრებ ბავშვებს, სადაც საბავშვო ბაგა–ბაღები არ ფუნქციონირებს.

ონის მუნიციპალიტეტი – მონიტორინგის შედეგად აღნიშნულ რაიონში დაფიქსირდა სკოლამდელი აღზრდის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, კერძოდ, 64 სოფლიდან და 1 ტერიტორიული ცენტრიდან დაბა ონში ფუნქციონირებს 1 საბავშვო ბაგა–ბაღი, ხოლო სოფელ ღარში – სკოლამდელი აღზრდის ცენტრი. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, სოფელ ღარში აღნიშნული სკოლამდელი აღზრდის ცენტრი დაფუძნდა 2011 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია ,,კივიტას ჯორჯიას'' მიერ. 2014 წლიდან დაწესებულება ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში გადავიდა და მისი დაფინანსებით ფუნქციონირებს, თუმცა არ გააჩნია ბავშვთა სასწავლო–სააღმზრდელო პროცესის სათანადოდ წარმართვისათვის საჭირო პირობები. იგი განთავსებულია კერძო სახლში, ნაქირავებ შენობაში და ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს სანიტარულ–ჰიგიენური პირობების თვალსაზრისით, არ ფუნქციონირებს კვების ბლოკი და საძინებელი ოთახი. შენობის ძირითად ბლოკში არ არის განთავსებული სველი წერტილები.

ხულოს მუნიციპალიტეტი – აღნიშნულ ტერიტორიულ ერთეულში დაფიქსირდა სკოლამდელი აღზრდის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემები[30]. კერძოდ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს 9 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება, თუმცა რიგ თემებსა და სოფლებში საბავშვო ბაგა–ბაღები არ ფუნქციონირებს, მათ შორის, თხინვალას თემის სოფლების – ბაკოსა და მთის უბნებში, ზემო და ქვემო თხინვალაში, რის გამოც, აღნიშნულ ტერიტორიულ ერთეულებში მცხოვრები ბავშვები სკოლამდელი სააღმზრდელო–საგანმანათლებლო პროცესის მიღმა რჩებიან. პროექტის ფარგლებში ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის 2015 წლის ბიუჯეტის მიხედვით, აღნიშნულ სოფლებში საბავშვო ბაგა–ბაღების მშენებლობა დაგეგმილი არ არის[31].

ახმეტის მუნიციპალიტეტი – სკოლამდელი აღზრდის ინფრასტრუქტურული ხელმისაწვდომობის პრობლემა გამოიკვეთა სოფელ შუა ხალაწანის, დუმასტურის, წინაუბნის, ქურეთის საბავშვო ბაგა–ბაღებში. აღნიშნულ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებს არ გააჩნიათ საკუთარი შენობა/ფართი და განთავსებული არიან ნაქირავებ შენობებში[32]. ამასთან, არაკეთილსაიმედოა ფიზიკური გარემო და სანიტარულ–ჰიგიენური პირობები. არასათანადო ინფრასტრუქტურული და სანიტარული პირობების გამო, აღნიშნულ სოფლებში მცხოვრებ აღსაზრდელთა ნაწილი ვერ დადის საბავშვო ბაგა–ბაღებში, შედეგად, ფაქტობრივად, იზღუდება სკოლამდელ აღზრდაზე ბავშვთა ხელმისაწვდომობის უფლება[33].

[28] საქმე №18056/1, 06/11/2014; კორესპონდენცია №18870/1, 28/11/2014.
[29] იქვე.
[30] საქმე №17049/1, 12/11/2014.
[31] კორესპონდენცია №18482/1, 17/11/2014.
[32] კორესპონდენცია №15722/1, 29/09/2014.
[33] საქმე №10594/1, 05/09/2014.

რეკომენდაცია ქ. თბილისის, ქ. მარნეულის, ქ. ქუთაისის, ონის, ახმეტის, მესტიის, ხულოს, შუახევისა და ქედის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს:

- **ადგილობრივი თვითმმართველობების ტერიტორიებზე სკოლამდელი აღზრდის ფიზიკური, გეოგრაფიული და ინფრასტრუქტურული ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ბიუჯეტებიდან გამოიყოს შესაბამისი მატერიალურ-ფინანსური რესურსი.**

6.ძალადობა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში

სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში განთავსებულ ბენეფიციართა მიმართ ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უფლების შემოწმების საწყის ეტაპზე, სამართლებრივი სტანდარტის პარალელურად, განისაზღვრა შესაბამისი ძირითადი დეფინიციური მიდგომა. მონიტორინგის ყველა ეტაპზე გამოყენებულ იქნა გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის(CRC) მიერ დადგენილი განმარტება არასრულწლოვანთა ძალადობის ფორმების შესახებ, რომლის მიხედვითაც, ძალადობა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა მოიცავს „სხეულებრივ"/„ფიზიკურ" თუ ფსიქოლოგიურ ასპექტებს, რომელიც შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმაში, თუმცა ნებისმიერი მათგანი დამამცირებელ მოპყრობად ითვლება.[34]

ამასთან, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, ,,ბავშვთა მიმართ ძალადობა არის ნებისმიერი ფორმის ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, უგულებელყოფა ან გაუფრთხილებელი მოპყრობა, კომერციული ან სხვაგვარი ექსპლუატაცია, რომელიც ბავშვის ჯანმრთელობისათვის, გადარჩენისათვის, განვითარებისა ან ღირსებისათვის საფრთხის შემცველია''.[34]

მონიტორინგის შედეგად საბავშვო ბაგა–ბაღებში ბავშვთა მიმართ ძალადობისა და არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უფლების განხორციელების შემდეგი პრობლემური მიმართულებები გამოიკვეთა:

- სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მნიშვნელოვან ნაწილში სასწავლო–სააღმზრდელო პერსონალის მიერ ბენეფიციართა მიმართ ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა, მათ შორის, სხეულებრივი სასჯელების გამოყენება, ფსიქოლოგიური ძალადობა და ზეწოლა, სისტემატურ ხასიათს ატარებს. **დამონიტორინგებული 61 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებებიდან 70%–ში დაფიქსირდა ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები, ხოლო 40%–ში ფიზიკური ძალადობისა და სხეულებრივი სასჯელების გამოყენების პრაქტიკა.** საყურადღებოა, რომ გამოკითხული აღმზრდელების 30% მიზანშეწონილად მიიჩნევს ბენეფიციართათვის საკვების შემცირებას აღსაზრდელთა დაუმორჩილებლობის ან/და რთული ქცევის რომელიმე ფორმის გამოხატვის შემთხვევაში, ხოლო პედაგოგთა 75% დადებითად

[34] World Report on Violence and Health, *World Health Organization*, 2002, P. 59.

აფასებს თამაშის უფლების შეზღუდვას ბავშვის მიერ არასათანადო ქცევის გამოვლენის შემთხვევაში. აღნიშნულის მაგალითს წარმოადგენს ქ. ქუთაისის №13, №17, №18, თერჯოლის №1 და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის №1 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები.

- მონიტორინგის პერიოდში სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენების დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. საბავშვო ბაღების აღმზრდელების 90% არ ფლობს ინფორმაციას რეფერირების მექანიზმის[35] შესახებ და შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს აღსაზრდელის მიმართ ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებას, არ ხდება რეფერირების პროცედურის განხორციელება. იმ პედაგოგთა დიდი ნაწილი კი, რომელიც ინფორმირებულია ძალადობის რეფერირების პროცედურის შესახებ, მიიჩნევს, რომ იგი გადამისამართება უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ძალადობის მძიმე და მათ შორის, განმეორებადი ფორმა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მწვავედ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში – მესტიის, ყაზბეგის, ონის, ამბროლაურის, ახმეტის, ქედის, შუახევისა და ხულოს, თერჯოლის მუნიციპალიტეტებში დგას.

- სკოლამდელი აღზრდის პრობლემურ მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს ასევე შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საჭიროებების მქონე აღსაზრდელთა მიმართ ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის განხორციელების, ასევე არატოლერანტული დამოკიდებულების ხშირი შემთხვევები ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის საბავშვო ბაგა – ბაღებში. აღსანიშნავია ქ. თბილისის №6 საბავშვო ბაგა - ბაღში დაფიქსირებული შემთხვევა, სადაც აღმზრდელის მიერ სისტემატურად ხდებოდა ფიზიკური ძალადობა აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე აღსაზრდელის მიმართ. აღმზრდელი აღნიშნულს ამართლებდა იმით, რომ ბავშვი თავისი შეზღუდული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მხოლოდ ცემის შემთხვევაში აღიქვამდა უარყოფითად ფიზიკურ ძალადობას და აღნიშნული მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილი იყო, თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე აღსაზრდელი ახორციელებდა ძალადობას თანატოლი აღსაზრდელის მიმართ. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით განხორციელდა შესაბამისი მიმართვა[36] ააიპ. ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში. საპასუხო მომართვის თანახმად[37], სააგენტოს მიერ ქ. თბილისის №6 საბავშვო ბაგა-ბაღში ჩატარდა პრევენციული ხასიათის ღონისძიება – დამატებითი ტრენინგები აღმზრდელ-პედაგოგთათვის ბავშვთა სააღმზრდელო სფეროში.

- აღმზრდელ–პედაგოგებთან რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა ბავშვზე ზრუნვის განმახორციელებელი პერსონალის დაბალი ინფორმირების დონე და გამოცდილება

[35] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანებით №152/ნ-№496-№45/ნ ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ''.

[36] კორესპონდენცია №10-2/13660, 05/11/2014.

[37] კორესპონდენცია №19441/1, 21/11/2014.

ბენეფიციართა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების, ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირების, რეფერირების პროცედურისა და აღსაზრდელთა მიმართ ყველა სახის არასათანადო მოპყრობის პრევენციის სფეროში (იხ. ცხრილი №2). ამასთან, აღმზრდელ–პედაგოგთა განცხადებით, ესაჭიროებათ სასწავლო კურსები და კვალიფიკაციის ამაღლება ბავშვის მიმართ ძალადობის გამოვლენის, პრევენციისა და ადეკვატური რეაგირების საკითხებში[38].

ცხრილი №2



რეკომენდაცია ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, მესტიის, ყაზბეგის, ონის, ამბროლაურის, ახმეტის, ქედის, შუახევის, ხულოსა და თერჯოლის ადგილობრივი თვითმმართველობების აღმასრულებელ ორგანოებს:

- **მიღებულ იქნეს დროული და ეფექტიანი ზომები სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის.**

- **აუცილებელია იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, რომლებიც ბავშებზე ძალადობენ, მათ შორის დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიურ ძალადობის შემთხვევებზე კანონით გათვალისწინებული ზომების გამოყენება.**

რეკომენდაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- **გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურის სრული დანერგვისა და ამოქმედების, ასევე, შესაბამისი პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდის უზრუნველსაყოფად.**

[38] აღნიშნული ეხება როგორ რეგიონების, ისე ქ. თბილისის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებს. აღნიშნული პრობლემები დაფიქსირდა, მაგალითად, ქ. თბილისის №98, №9, 205 საბავშვო ბაგა-ბაღებში, ასევე, სოფელ ბოდბისხევის №9 და №10, სოფელ მაღაროს, სოფელ წვირმის საბავშვო ბაგა-ბაღებში.

7. ინდივიდუალური მიდგომის სტანდარტის განხორციელება

სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში მონიტორინგის ერთ-ერთი ძირითადი ობიექტი, სასწავლო–სააღმზრდელო სფეროში მომსახურების ინდივიდუალიზაციის ხარისხის განსაზღვრა იყო. აღნიშნული თავის მხრივ გულისხმობს ბავშვის საჭიროებებზე ორიენტირებული სწავლების პროცესის განხორციელებას, რთული ქცევის მართვისა და პრევენციის საკითხებს, სწავლების/შემეცნების ინდივიდუალიზაციას, შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის ადეკვატური რესურსებით უზრუნველყოფას, მათ შორის დამხმარე საშუალებების მოძიებას როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსების თვალსაზრისით.

სკოლამდელი სააღმზრდელო ინსტიტუციების მონიტორინგის პროცესში, რაოდენობრივი/თვისებრივი მეთოდის ფარგლებში განხორციელებულმა სტრუქტურირებული და ნახევრადსტრუქტურირებულია ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ინდივიდუალური მიდგომის სტანდარტის განხორციელების ისეთი ძირითადი პრობლემური მიმართულებები, როგორებიცაა:

- **პერსონალის კვალიფიკაცია** – სააღმზრდელო/ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება გამოიკვეთა ბავშვთა მიმართ/შორის რთული ქცევის პრევენციისა და მართვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის, ბენეფიციართა მიმართ დისკრიმინაციის გამოვლინებისა და მათი აღმოფხვრა/პრევენციის სფეროებში (იხ. ცხრილი №3).

- **სწავლების ინდივიდუალიზაციის მეთოდის დანერგვა** – სასწავლო–სააღმზრდელო პროცესის ეფექტიანად წარმართვის ერთ–ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს ბენეფიციართა ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების უგულებელყოფა სასწავლო–შემეცნებითი აქტივობების განხორციელების დროს. როგორც მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, აღმზრდელ–პედაგოგთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ინდივიდუალური მიდგომის დანერგვის უგულებელყოფით, ყველა აღსაზრდელთან საერთო მიდგომის გამოყენებას ცდილობს. აღნიშნული შემთხვევა დაფიქსირდა, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების –ოჟიოს, ქისტაურის №1, მატნის №1, ქ. ქუთაისის №13 და №18 საბავშვო ბაგა-ბაღებში. გამოკითხულ აღმზრდელთა 60%–ის განცხადებით, ისინი, ჯგუფებში ბავშვთა გადაჭარბებული რაოდენობის გამო, ნაკლებად ახერხებენ ბავშვებთან ინდივიდუალურ მუშაობას.

- **შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საჭიროებების მქონე ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობა** – აღნიშნულ სფეროში გამოიკვეთა ისეთი ძირითადი პრობლემები, როგორებიცაა ბავშვებისათვის ადაპტირებული სასწავლო–შემეცნებითი გარემოს მიწოდება (რიცხობრივი შეფარდების მაჩვენებელი ასახულია ცხრილი №3–ში), ბენეფიციართა საჭიროებების შეფასების არა სისტემურობა მულტი დისციპლინური გუნდის მიერ, შესაბამისი სააღმზრდელო

პერსონალის გაუთვალისწინებლობა საშტატო ნუსხაში, მათ შორის – მეთოდისტის, ლოგოპედის, ფსიქოლოგისა და სპეციალური განათლების პედაგოგის არ არსებობა. დამონიტორინგებული დაწესებულებების უმრავლესობაში სასწავლო–სააღმზრდელო გარემო ძირითადად არა ადაპტირებულია შშმ./სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის, თუმცა დაწესებულებების ნაწილს საშტატო ნუსხაში ასახული ჰყავთ სპეციალური განათლების პედაგოგის, ლოგოპედის და ფსიქოლოგის შტატები ამ მხრივ პრობლემური დაწესებულებებიდან აღსანიშნავია ქ. ქუთაისის №13, ქ. მცხეთის № 6 და დაბა მესტიის № 1 საბავშვო ბაგა-ბაღები, სადაც მიუხედავად იმისა, რომ ირიცხებიან შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები, არა ადაპტირებულია სასწავლო–საადმზრდელო გარემო–პირობები და არ ფიქსირდება შესაბამისი საშტატო პერსონალი, ასევე ბენეფიციართა ინდივიდუალური საჭიროებებისა და შემდგომი განვითარების საკითხებზე არ მუშაობს მულტი დისციპლინური გუნდი.

შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა საადმზრდელო სფეროში დადებითი მაჩვეენებლი დაფიქსირდა ქ. თბილისის №45 საბავშვო ბაგა–ბაღში, სადაც რამდენიმე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციარი ირიცხება გამოყოფილია მულტი დისციპლინური ჯგუფი, რომელიც შედგება სპეციალური პედაგოგისგან, ფსიქოლოგის, ლოგოპედის, პედიატრის და მეთოდისტისგან. მულტი დისციპლინური გუნდის მიერ შეფასებულ იქნა 15 ბენეფიციარი, მათგან 10 ბავშვისთვის შედგენილ იქნა ინდივიდუალური განვითარების გეგმა და მის შესრულებაზე მიმდინარეობს სისტემური ზედამხედველობა.

ცხრილი №3



	ესაჭიროება კვალიფიკაციის ამაღლება რთული ქცევის მართვა–პრევენციის საკითხში	ესაჭიროება კვალიფიკაციის ამაღლება სწავლების ინდივიდუალიზაციის სფეროში	ესაჭიროება კვალიფიკაციის ამაღლება შშმ./სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის სფეროში
აღმზრდელ–პედაგოგთა რაოდენობა	170	200	220

რეკომენდაცია ადგილობრივი თვითმმართველობების აღმასრულებელ ორგანოებსა და ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანებებს:

- **მიღებულ იქნეს რელევანტური ზომები ყველა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში აღსაზრდელების მიმართ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიმართულებით;**

- **გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები, რათა ყველა საბავშვო ბაღის შტატში ირიცხებოდეს ფსიქოლოგი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური განათლების პედაგოგი და ლოგოპედი;**

- **მიღებულ იქნეს ზომები ყველა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების პერსონალის ინფორმირებულობის გასაზრდელად ბავშვის უფლებების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, არასრულწლოვნების მიმართ დისკრიმინაციის გამოვლინებისა და მათი აღმოფხვრა/პრევენციის სფეროში.**

8. კვების ორგანიზაციული წესები სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგის პროცესში შემოწმდა კვების ორგანიზაციული წესების სტანდარტით[39] დადგენილი ძირითადი მიმართულებები და სპეციალური კვებითი მოთხოვნების (მათ შორის, რეკონსელვატურ და ალერგიულ ბენეფიციართა) მქონე აღსაზრდელთა ინდივიდუალური საჭიროებების უზრუნველყოფის საკითხი.

მონიტორინგის შედეგების ანალიზიდან ბავშვთა კვების ორგანიზების სფეროში იკვეთება შემდეგი ძირითადი მიმართულებების განხორციელების პრობლემები:

- **დეფიციტური კვება** – სტანდარტის[40] მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში ბენეფიციართა რაციონი უნდა აკმაყოფილებდეს ბავშვთა ორგანიზმის მოთხოვნილებებს ძირითად საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე სარეკომენდაციო ასაკობრივი ნორმების გათვალისწინებით. ამასთან, გარდა ასაკობრივი ნორმებისა, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას სეზონურობა, აღზრდის პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, კვების თავისებურებები და სხვა. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, კი ბავშვის ორგანიზმისთვის აუცილებელი პროდუქტები (რძისა და ხორცის ნაწარმი, ბურღულეული და ა.შ.) აღსაზრდელის რაციონში უნდა შედიოდეს ყოველდღე. მიუხედავად აღნიშნული სავალდებულო ხასიათის მოთხოვნისა, შესამოწმებელი საბავშვო ბაგა-ბაღების მნიშვნელოვან ნაწილში დღიური კვების რაციონი დეფიციტურ ხასიათს ატარებდა და ვერ უზრუნველყოფდა ბავშვისთვის საჭირო საკვები პროდუქტების მიწოდებას (იხ. ცხრილი №4). დეფიციტური

[39] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება ,,ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შეახებ''.
[40] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება ,,ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შეახებ''.

კვების მქონე სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებს შორისაა ქ. ქუთაისის №13, №17 და №18, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ მუჟალის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ სიონის, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღარის და ა.შ. საბავშვო ბაგა-ბაღები.

- **ბავშვთა ინდივიდუალური კვებითი საჭიროებების უგულებელყოფა** – სპეციალური კვებითი საჭიროებების მქონე ბენეფიციართა მოთხოვნები არასათანადოდ აისახება საბავშვო ბაგა-ბაღების 14 დღიან საორიენტაციო და ყოველდღიურ მენიუებში. ასევე, პრობლემურია, რომ ბენეფიციართა ინდივიდუალური საჭიროებებიდან ნაკლები ყურადღება ექცევა ჭარბ წონიან და ალერგიულ ბავშვთა კვებას (ცხრილი№4).

- **საკვების პროდუქტების შენახვა/დამუშავების პროცედურები** – საბავშვო ბაგა-ბაღების მნიშვნელოვან ნაწილში (ცხრილი№4) დარღვეულია საკვები პროდუქტების შენახვისა და დამუშავებისადმი განსაზღვრული სავალდებულო მოთხოვნები[41] - არ ფუნქციონირებს საკვების შესანახი მაცივრები, საწყობები და სპეციალური კონტეინერები, დარღვეულია მალფუჭებადი პროდუქტებისა და ბოსტნეულის დიფერენცირებულად შენახვის ორგანიზაციული წესები. აღნიშნულ საბავშვო ბაღებს შორისაა – მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების–ბეჩოს, ეცერის, მუჟალის, ყარსგურიშის, მცხეთის მუნიციპალიტეტის №6, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის №1 და სოფელ მაღლაკის საბავშვო ბაგა–ბაღები.

- **საკვები პროდუქტების მიწოდების პრობლემები** – მაღალმთიან რეგიონებში ფუნქციონირებად საბავშვო ბაგა–ბაღებში მონიტორინგის პროცესში დაფიქსირდა დაწესებულებებისათვის საკვები პროდუქტების მიწოდების არასათანადო პერიოდულობა. მაგალითად, ონის, ამბროლაურისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ საბავშვო ბაღებში საკვები პროდუქტების შეტანა ხორციელდება თვეში ერთხელ, ხოლო მალფუჭებადი პროდუქტებისა – 2 კვირაში ერთხელ. ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლების – ხიხაძირისა და ღორჯომის საბავშვო ბაგა–ბაღებში, ზამთრის პერიოდში აქვს წყლით მიწოდებისა და საკვები პროდუქტების ტრანსპორტირების პრობლემა.

- **პერსონალი** – პრობლემური საკითხია, რომ საბავშვო ბაღებს არ აქვთ კვების სპეციალისტის შტატი, რის გამოც საორიენტაციო და დღიურ მენიუს ბაღების დირექტორთან შეთანხმებით საბავშვო ბაგა–ბაღების გაერთიანებები ადგენენ.

რეკომენდაცია ონის, ამბროლაურის, სიღნაღის, სამტრედიის, წყალტუბოს, ახმეტის, მესტიის, ქ. ქუთაისის, ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობების აღმასრულებელ ორგანოებს:

---

[41] საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება ,,ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ'' მე-5 მუხლის პირველი პუნქტი;
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის ბრძანება №303/ნ ,,განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობებისა და ვადების დამტკიცების შესახებ'', დანართი №1.

ცხრილი№4



	დეფიციტური კვების მქონე	საკვები პროდუქტების შენახვის/დამუშავების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა	სპეციფიკური კვებითი საჭიროებების მქონე ბენეფიციართა უზრუნველყოფა	კვების ბლოკში ფიქსირდება სათანადო ინვენტარი
საბავშვო ბაგა–ბაღების რაოდენობა	35	20	36	30

- **განხორციელდეს რელევანტური ღონისძიებები საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში კვების ორგანიზაციული წესების სრულად დაცვის მიმართულებით.**

9. ადრეული და სკოლამდელი განათლების უფლების იმპლემენტაცია

ადრეული და სკოლამდელი განათლების სტანდარტის მიხედვით, საბავშვო ბაგა–ბაღების ფუნქციონირების პოლიტიკა, უმთავრესად, მიმართული უნდა იყოს ადრეულ ასაკში განათლების სისტემაში ბავშვების ჩართულობის გაფართოებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ. აღნიშნულის განხორციელების ერთ–ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს ბენეფიციართა ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული სააღმზრდელო – საგანმანათლებლო პროგრამის განსაზღვრა და დაწესებულებაში მოქნილი მექანიზმების შემოღება პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად[42].

სასწავლო – სააღმზრდელო პროგრამებში ხარისხიანი და ეფექტიანი განათლების ჩართვა სკოლამდელი აღზრდის სტანდარტის[43] ერთ – ერთი ელემენტია. აღნიშნულის იმპლემენტაცია დამოკიდებულია ისეთ ძირითად კრიტერიუმებზე, როგორებიცაა – ადრეულ და სკოლამდელ სწავლებებში შესაბამისი მეთოდოლოგიური მასალის

[42] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მართვის გზამკვლევი'' , თბილისი 2011, გვ. 8,http://preschooleducation.ge/admin/uploads/3.%20skolamdeli%20agzrdis%20datesebulebis%20martvis%20gzamkvlevi.pdf

[43] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ,,ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები'', თბ., 2011. http://preschooleducation.ge/admin/uploads/1.%20standartebi.pdf

გამოყენება აღსაზრდელთათვის სასწავლო/შემეცნებითი ინვენტარის ხელმისაწვდომობა, შეზღუდული შესაძლებლობის / სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბენეფიციართათვის ადაპტირებული საგანმანათლებლო გარემოს მიწოდება, სააღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება აღსაზრდელთა რიცხობრიობისა და საჭიროებების შესაბამისად, ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისათვის შესაბამისი სააღმზრდელო პირობებით უზრუნველყოფა.

სასწავლო – სააღმზრდელო მეთოდოლოგიური მასალის იმპლემენტაციის მიმოხილვა – სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება, სკოლამდელ სააღმზრდელო ინსტიტუციებში მოახდინონ ისეთი სასწავლო პროცესის ხელშეწყობა, რომელიც ბავშვს მოამზადებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითი საფეხურისთვის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ადრეული და სკოლამდელი განათლების უფლების ხელმისაწვდომობისა და პრაქტიკაში ეფექტური იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად შემუშავდა შემდეგი ძირითადი პროგრამები:

- ,,ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები[44]'';
- ,,სკოლამდელი განათლების პროგრამა[45]'';
- ,,სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა[46]'';
- ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის გზამკვლევი[47]'';
- ,,ქართული ენა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისათვის[48]''
- სხვა რელევანტური მეთოდოლოგიური დოკუმენტები.

მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა, რომ საქართველოს რეგიონებში მდებარე იმ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში, სადაც მონიტორინგი განხორციელდა, აღმზრდელების 60%-ს არ მიეწოდება აღნიშნული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები და შესაბამისი შეფასების ფორმები. ამასთან, სასწავლო–სააღმზრდელო პერსონალთან განხორციელებული სოციოლოგიური გამოკითხვის ანალიზიდან ჩანს, რომ მათ 70%–ს ესაჭიროება სასწავლო კურსები/კვალიფიკაციის ამაღლება ადრეული და სკოლამდელი განათლების განხორციელების, მოქმედი მეთოდოლოგიური მასალისა და სახელმძღვანელოების პრაქტიკაში დანერგვის სფეროში; ასევე აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პედაგოგთა 25% გადამზადებულია სკოლამდელი აღზრდის სხვადასხვა სფეროში, თუმცა მათი კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხობრივი მაჩვენებელი მაინც დაბალია.

აღსანიშნავია თერჯოლის მუნიციპალიტეტის №1 საბავშვო ბაგა–ბაღში არსებული მდგომარეობა, სადაც, მონიტორინგის შედეგების მიხედვით, პრობლემურია ბენეფიციართათვის ეფექტური განათლების მიწოდება[49]. აღმზრდელ / პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუირების შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 90% მიიჩნევს, რომ ესაჭიროებათ კვალიფიკაციის ამაღლება ადრეული / სკოლამდელი

[44] http://preschooleducation.ge/admin/uploads/1.%20standartebi.pdf
[45] http://preschooleducation.ge/admin/uploads/4,%20INSTRUMENT[1].pdf
[46] http://preschooleducation.ge/admin/uploads/5.%20skolamdeli%20ganatlebis%20programa.pdf
[47] http://preschooleducation.ge/admin/uploads/3.%20skolamdeli%20agzrdis%20datesebulebis%20martvis%20gzamkvlevi.pdf
[48] http://preschooleducation.ge/admin/uploads/metod.pdf
[49] საქმე №14343/1, 13/08/2014.

განათლების სფეროში მოქმედ პროგრამებთან და მათი პრაქტიკაში დანერგვის ძირითად საკითხებთან დაკავშირებით. ა(ა)იპ. თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის ცენტრიდან გამოთხოვილი ოფიციალური მონაცემების[50] მიხედვით, 2014 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის 24 სკოლამდელი დაწესებულებიდან პროექტის ,,სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა ადგილობრივ დონეზე'' ფარგლებში მეთოდურად გადამზადდა 24 აღმზრდელი, რაც მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების აღმზრდელ-პედაგოგთა საერთო რიცხოვნობის 30%-ს შეადგენს.

სასწავლო–სააღმზრდელო მეთოდოლოგიური დოკუმენტების პრაქტიკაში პრობლემური იმპლემენტაციის ერთ–ერთი მაგალითია მარნეულის მუნიციპალიტეტის №3 საბავშვო ბაგა–ბაღი. მონიტორინგის პროცესში[51] დაფიქსირდა, მარნეულის №3 საბავშვო ბაგა–ბაღში ირიცხებიან როგორც ქართველი, ისე ეთნიკურად აზერბაიჯანული ეროვნების წარმომადგენელი აღსაზრდელები და შესაბამისად, რეკომენდირებულია,[52] სასწავლო–სააღმზრდელოპროცესისასგამოყენებულიქნესსაქართველოსგანათლებისადამეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელის მეთოდური სახელმძღვანელო ,,ქართული ენა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის''. მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის პროცესისას აღნიშნული სახელმძღვანელოები დაფიქსირდა თითოეულ სააღმზრდელო ჯგუფში, დადგინდა, რომ მათი პრაქტიკაში გამოყენება, ძირითადად, არ ხორციელდება[53].

მატერიალურ/შემეცნებითი სასწავლო-სააღმზრდელო რესურსის გამოყენება ადრეულ და სკოლამდელ საგანმანათლებლო პროცესში - მონიტორინგის პროცესში დაწესებულებათა ვიზუალური დათვალიერების, შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმებისა და ბაგა-ბაღების სააღმზრდელო/ადმინისტრაციულ პერსონალთან განხორციელებული გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ ადრეული და სკოლამდელი განათლების დანერგვისათვის საჭირო საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ინვენტარისა და თვალსაჩინოებებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი დაბალია შემოწმებული ბაღების 70%–ში, მათ შორის განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა დაფიქსირდა ქ. თელავის №2, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ვანთას, ქ. თბილისის №98, დაბა შუახევის, ქედას მუნიციპალიტეტის სოფელ ზუნდაგის, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების - ლატალის, ეცერის, მუჟალის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ სიონის, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჟიოსა და ქისტაურის №1, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის საბავშვო ბაგა-ბაღებსა და ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღარის სკოლამდელი აღზრდის ცენტრში. მონიტორინგის პროცესში ასევე გამოვლინდა ისეთი სააღმზრდელო დაწესებულებები, სადაც ფაქტობრივად ფიქსირდება სკოლამდელი აღზრდისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარი, თუმცა მათ გამოყენებაზე აღსაზრდელთა ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. აღნიშნულ დაწესებულებებს შორისაა ქ. მცხეთის №6, ქ. ქუთაისის №13 და №18, ქ. თბილისის №205, ქ. მარნეულის №3 და ა.შ. საბავშვო ბაგა-ბაღები.

შემოწმების შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით, არასათანადო მდგომარეობა დაფიქსირდა ბენეფიციართა სასწავლო-სააღმზრდელო ინვენტარის უსაფრთხოებისა და

[50] კორესპონდენცია №18392/1, 05/11/2014,
[51] საქმე №18056/1, 07/11/2014.
[52] http://preschooleducation.ge/admin/uploads/metod.pdf
[53] კორესპონდენცია №10–2/13398/1, 11/11/2014.

აღსაზრდელთა საჭიროებებზე ორიენტირების მხრივ, რაც გამოიხატა შემდეგ ასპექტებში: ბავშვების სამუშაო/საგანმანათლებლო, სახატავი, სათამაშო ან / და ხელგარჯილობის მაგიდები, სკამები და სხვა ინვენტარი არ აკმაყოფილებდა უსაფრთხოების[54] ადაპტირებულებისა და შესაბამისობის კრიტერიუმებს. ყოველივე კი იწვევდა ინვენტარის შეუსაბამობას სკოლამდელ სააღმზრდელო მეთოდოლოგიურ პროცესთან. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია სასწავლო ინვენტარისა და ფიზიკური გარემოს შესაბამისობის პროცენტული მაჩვენებელი:

ცხრილი №5



	სასწავლო-სააღმზრდელო ინვენტარი ნაწილობრივ უსაფრთხოა ბენეფიციართათვის	ფიზიკური გარემო და სასწავლო ინვენტარი უსაფრთხოა, მაგრამ-არა ბენეფიციართა საჭიროებებზე ორიენტირებული	ფიზიკური გარემო და სასწავლო ინვენტარი საფრთხის შემცველია ბენეფიციართათვის	სასწავლო-სააღმზრდელო ინვენტარი ძირითადად უსაფრთხო და ადაპტირებულია ბენეფიციართა საჭიროებებისათვის
ცხრილი N5	35	40	30	25

სააღმზრდელო ჯგუფების რიცხოვნობა – სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში განთავსებულ ბენეფიციართათვის ხარისხიანი და ეფექტიანი სკოლამდელი განათლების ერთ–ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია ჯგუფებში ბავშვების ჩარიცხვის სტანდარტზე გადამეტებული მაჩვენებელი. მოქმედი სტანდარტის[55] მიხედვით, საბავშვო ბაგა–ბაღებში ჯგუფების დაკომპლექტება უნდა ხდებოდეს შემდეგი პროპორციული შეფარდების მიხედვით:

N	ჯგუფები	ასაკობრივი კატეგორიები	ადგილების მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფების მიხედვით
1	ბაგის ასაკის სააღმზრდელო	2 თვიდან – 1 წლ.– მდე	15

[54] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მეთოდოლოგიური დოკუმენტი ,,სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ფიზიკური გარემო - პრინციპები და პრაქტიკა'', 2010წ.

[55] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №308/ნ ,,სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვის, სამუშაო რეჟიმის, სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ''.

2	პირველი ჯგუფი, ადრეული ასაკის მეორე ჯგუფი	1 წლ.–დან – 2 წლ.–მდე	20
3	პირველი უმცროსი ჯგუფი	2 წლ.–დან 3 წლამდე	20
4	მეორე უმცროსი ჯგუფი	3 წლ.–დან 4 წლ.–მდე	25
5	საშუალო ჯგუფი	4 წლ.–დან 5 წლ.–მდე	25
6	უფროსი ჯგუფი (სკოლამდელი ასაკის)	5 წლ.–დან 6 წლ.–მდე	25

ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, ქ. მარნეულის №3, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა–ბაღების სააღმზრდელო ჯგუფებში ბავშვთა გადანაწილებისა და ჯგუფების დაკომპლექტება, ძირითადად, ვერ ითვალისწინებს აღსაზრდელთა საჭიროებებს. კერძოდ, დამონიტორინგებულ საბავშვო ბაგა–ბაღების *პირველ უმცროს ჯგუფებში ბავშვების რიცხოვნობის საშუალო სტატისტიკური მონაცემია – 30, მეორე უმცროს ჯგუფში – 35, საშუალო ჯგუფში – 37, უფროს ჯგუფში – 38 აღსაზრდელი.* ამასთან, ზემოაღნიშნულ საბავშვო ბაგა–ბაღებში გამოკითხული აღმზრდელების / პედაგოგების 70%–ის განცხადებით, სასწავლო პროცესის წარმართვისას, ძირითადი დაბრკოლებები გამოწვეულია ბავშვთა მაღალი რაოდენობითა და შესაბამისი ინვენტარის სიმცირით.

რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველობების საკრებულოებსა და აღმასრულებელ ორგანოებს:

- **ხარისხიანი და ეფექტიანი სკოლამდელი განათლების უფლების იმპლემენტაციისათვის ადრეული და სკოლამდელი განათლების პედაგოგთა გადამზადების სისტემის სათანადოდ განვითარება, ნორმატიულ დონეზე გაიწეროს სავალდებულო პედაგოგიური მეთოდოლოგიისა და სკოლამდელი განათლების სფეროში ერთიანი სისტემური სტანდარტები;**
- **მოხდეს სააღმზრდელო ჯგუფების დაკომპლექტება საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტებით დადგენილი წესით და შეიქმნას ბავშვთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო–ინფრასტრუქტურული გარემო;**
- **აღიჭურვოს სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები ბენეფიციართა საჭიროებებზე ორიენტირებული სასწავლო-შემეცნებითი ინვენტარით.**

რეკომენდაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- **ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში აღმზრდელთა კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით, ადგილობრივ თვითმმართველობებთან მჭიდრო თანამშრომლობით, განხორციელდეს სკოლამდელი აღზრდის პერსონალის სისტემური გადამზადება და შემუშავდეს ეროვნული სტანდარტები და იმპლემენტაციის ეფექტიანი მექანიზმები აღმზრდელთა მეთოდოლოგიური სწავლების სფეროში.**